KA030113574051519

№ 01-3101 **29 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და თურქმენეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სამედიცინო ინდუსტრიის სამინისტროს ორგანიზებით 2019 წლის 9-10 აპრილს თურქმენეთში, ქ. აშხაბადში ტარდება მაღალი დონის კონფერენცია არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებულ საკითხებზე: „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონში, არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და მართვის გზით“.

კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა ბოხუა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ანაზღაურებს მონაწილეთა მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ბატონი ზაზა ბოხუასთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 8 აპრილიდან 11 აპრილის ჩათვლით და დღიური ნორმისა და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია